ალათი. აწი ჩემი მოსვლა არ არის საჭირო, თორემ მოსვლას როგორ დავამადლი. ეხლა მავას წამლის მეტი არა უნდა რა, თუ ცოტა ფულის დახარჯვას არ დაიხარებ, ისეთ წამალს გავიყვებ, რომ სამს დღეში კაცს ფეხზე წამოაყენებს.

მაიკო. რას ქვიან დავიხარებ, შენი კირიმე?! რავე დავიხარებ, თუ რამე კი მომხებრება? ცალი ხარი მყავს და იმასაც კი გავყიდი, ოღონდ კი მავას მოვემხარო რამედა.

ალათი. ბევრი კი არ უნდა... ეხლავ ვინგარიშებ. (ანგარაშის) უმ... 9 კაპ... 17 კაპ. ეს ხუთი შაური და ერთი კაპეიკი. კილა...

11 კაპეიკი, სულ შეიღი შაური და ორი კაპეიკი. ამ ფულით წამლები უნდა ვიყილო: ჩემს ნაშრომს ჯერ არას ვთხოვ, მერმეთ კი შენ იცი და შენმა პატოისცემა, ჩემო მაიკო.

მაიკო. თქმა არ გინდა. გასამრჯელოს, ორად მიიღებთ, თუ ღმერთმა არ დამასწყალა.

ალათი. აბა, ეხლა მომეც წამლების საყიდელი ფული და გამიშვი, თორემ ბევრი დამავიანდა და ცოდვა ის ხალხი, სახლში რომ მიცდის.

მაიკო. კი ბატონო. (მავა შეარე ტახტ-



ანს, სსსთომღანს ქვეშედან გამთადებს ზანჭთაში
კახეულ ფულს, გასნის და კადუთუღანს 37 კან).
მიირთვი, ალათი.

ალათი (არამუქეს) აბა, აწი შენ იცი, კა-
რგათ მოუარე, გამოლოცვილი წყალი ხში-
რად დააღვიენი... ჩაის ხომ ასმევ?

მაიკო. ოი, ღმერთო კი მომჯალი და გა-
მათავე! წყალი მივადგი ცეცხლზე ასაღულემ-
ლად და მერმედ სულ არ დამავიწყდა.

ფროს. ეს რავე მოგივიდა, შე საწყალო?
სიმონ. ჩიი ძან კარგია. ავად მყოფის-
თვის მაინც კარგი წამალია.

მაიკო. რა ჩემმა ცოდემ ვადამავიწყა...
ეხლავ მოუზადებ. (სამხარეულადს კარესს მად-
გუსს) სონა, გაიქეცი მეზობლებში და ერთი
ორი ნატეხი შეპარი იზოვე.

სონა. (სამხარეულადს) კი, ეხლავ გა-
ვიქეცი.

პეტ, შეპარი ჩენსას იქნება. ამას წინად,
ჩემი ცოლი რომ იყო ავად, მაშინ ვიყიდ ბა-
რე ერთი შაურის და უნდა იყოს მორჩენილი.

მაიკო. პეტრესას, პეტრესას გაიქეცი, შეი-
ოო. პეტრემ—ჩენსას უნდა იყოსო.

სონა. (სამხარეულადს) კი, დედა, კი.

ალათი. (გასახეულადს) ისე მოი-
ქეცი, მაიკო, როგორც მე დავაროვე. ღობტუ-
რი თუ მოვიდეს, მის მიერ გამოწერილ წამ-
ლებში არ დაღუპო ფული. ხვალ დიღას მო-
მიკითხოს სონამ ან კოლამ და მე გამოგიზაფ-
ნი წამალს, იმის მეტი არაფერი უნდა.

მაიკო. კი, შენი ჭირიმე, მესმის.

ალათი. შშვილობით განხეთ. (გადას)

ყველანი. იცოცხლე, ჩვენო ბატონო!

მაიკო. (მთავად-მთავადს) მე გზა აბნე-
ულს ჩაი როგორ დამავიწყდა?

ნიკო. (გამთადებებს) ეჰ, ეჰ... მოვეცი!

მაიკო. (შეკრებს) რა მალე გამოიღვიძა
ამ საწყალომ. ჰო, ნუ გეშინია, აწი ღვთის მად-
ლით არაფერი გიჭირს.

ნიკო. კი... კი მიჭირს... მიშველეთ.

პეტრ. ნუგეშინია, ნიკო, მალე მორჩები.

ფროს. (ხაყას მიუხედელებს) ნუ გეშინია,
ღმერთი კარგად გამოუდებს. (მთავადს) ჩაი, ჩაი
მოაშველე დროზე, დააწყნარებს.

მაიკო. ეხლავე, ეხლავე (მადის; კარესსა
ას შეხედებს)

VIII

აგინავე და კოლა

კოლა. რა იყო დედა, ისევ შეწუხდა?

მაიკო. რა ვიცი რა იყო, შეილო! (გადას)

ფროს. არაფერია, შეილო!

კოლა. (ჩახედავს ნაყას) აჰ, როგორ გა-
მოიყურება.

(კოლას სიტყვებზე ექვლანის ნაყას მიუხედელებს)

სიმონ. რა იყო, შე კარგო კაცო, რომ
შეგეშინე. ავადმყოფი აბა როგორ იტყობება?

მაიკო. (სამხარეულადს) სონა რავე დაი-
კარგა? კოლა, გწდი, შეილო და სონის გა-
დასძახე, მალე გამოიარეთქო.

ფროს. ეჰ, დედაშენმა სონის ვადუძა-
ხეო. წალი, წალი; მამაშენს აწი არაფერი არ
უჭირს.

კოლა. მე კი ძან მეშინია და. (გადას)

სიმონი. (დასადას სმთა) ტყვილი კი არ
თქვა კოლამ, მართლაც ცული გამოხედა აქეს.

IX

აგინავე და ივანე

ივანე. აქა მშვილობა და კარგად ყოფნა!
(ექვლანის სავალს ახედეებს) რას შერება სნეული?

ფროს. რა ვიცი რას შერება... ერთხანს
ქე იყო მოხედულად. მაგრამ ეხლა ისევ უმატა
შფოთვას.

ივანე. მაიკო სად არის?

სრულ. ჩაის ამზადებს, იქნებ მოუხდეს
პატარა.

ივანე. (ტასტსე ჩამოქეებს და დასადას
სმთა) მაიკოს არ ვაუცხადოთ და სწორედ
გლობა ამბავი გავიგე.

ყველანი. რა იყო, რა ვაიგე?

ივანე. რა და ის უსუღმართ საათზე და-
ბადებულნი მამასახლისი არ ასვენებს ამ მომავ-
დად კაცს. (ნაყოზე ახანეს)

ყველანი. რა არის, რა მოხდა?

ივანე. ჩვენი ნაცვლი კოსტიაა შემხედა
დღესა და მან მიამბო, რომ მამასახლისის და-
ნოსი გაუგზავნია ვეზდი ნაჩლიკთან, ნიკო
სულამე ბუნტოვნიკი არისო, ხალხს რეცსო. ეს
რადც ცოცხალი რომ ვაჩნდენ, მათი თა-
ნამოაზრე და ამხანავი არისო. ჩვენი მასწავ-
ლებელიც ზედ მიუტოლებია, ყველასი მოთა-
ვე და სულის ჩამდგმელი არისო.

(ექვლანის განცხადებულა უქეძრანს ავანეს)

ფროს. რას ჩააცივდა ამ კაცს, რა უნდა რომ არ ასვენებს?

ივანე. რა უნდა და მისი ოჯახის დაქცევა. ნაცვალმა თქვა, ამას არ იქმნა, რომ ნიკოს ცოლის მძას არ ეჩივლა (ნაჯაყუ სნაშნუს) ამ კაცის გალახვა და ნაობახში ჩავდებო.

პეტ. მეგრემდ რას უზამს ამ დანოსით?

ივანე. დაიჭერენ და ციშიბირში გადასახლებენო.

ფროს. (განწყაფრებულა) ღმერთი არ სწამს მგ კაცს? ჯერ კაცი ცემით მოკლა და ეხლა თავის სახლშიც კი არ აყენებს?!

პეტ. რა მისი ოჯახის დაქცევას და ამოვარდნას ვაგზავნის ციშიბირში? კაცი უკანასკნელ დღემდ არის და მკვდრის ვაგზავნას ხომ არ აპირებს!

სიმონ. თუ ესეც კი გაუვიდა მას, მაშინ, ეს საწყალი ნიკო იტყოდა—იმის ხელი არ იყოს, არც კანონი ყოფილა და არც სამართალიო.

X

აგინაუკ და მაიკო

მაიკო. (დასხმულა ჩაა შეშაქას) შეპარი კიდე არ მოიტანეს? (ჩაას მაიტანს და შგადასე დადგამს)

ფროს. მართლა სად არიან ამდენი ხანი?

მაიკო. ისევ გადავებებები. (გასვლას ეზარება. შგარამ ამ დრას შეშადას ვადა და სიას)

XI

აგინაუკ, სონა და კოლა

სონა. სამი ნატეხი ვიშოვე, დედა.

მაიკო. რავა დაიკარგეთ თქვე საწყლებო? (გამართაუკეს შაქარს და ურთ ნატეხს ჭაქაში ჩაგადეს და ვაგზს ურუკს)

ივანე. (ჩხუბს აწყოას) რა არის ეს ოხერი ჩვენი სიკოცხლებო?.. რაც ქვეყნად ვაგზნდი მას აქეთ სულ იმას ვაგიძახით, აწი უკეთესი დღე დავიდგება, განათლება შემოვავთო, მაგრამ ჩვენთვის ჯერაც არაფერი ვაკეთებულა და აწი ვინ იცის რა იქნება. (შაკადა ფრთხილად ნაკას ვაგზათ სხხამს ჩაას ბარბო)

მაიკო. დალიე, დალიე, შენი კირიმი, მოგიხდება, წამლად ვარგებს.

პეტ. ტყვილს კი არ ლაპარაკობდა ჩვენი უჩიტელი: ჩვენ თუ არ ვიფიქრებ ჩვენს თავზე და ვაჭივრებაზე, სხვა ვინ რას დავებდესო.

ივანე. ჩვენ რა უნდა ვიფიქროთ, ჩემო

პეტრე? ნასწავლი ჩვენ არ ვართ და განათლებული

პეტ. ნასწავლი ვართ, თუ უსწავლელი მაინც უნდა ვეცოდოთ ჩვენი თავისთვის, ჩვენი საქმე და ჩვენი ბედ-იღბლი ჩვენ უნდა გვეჭიროს ხელში, ჩვენ უნდა ვიყენებო ჩვენი თავის და საქმის ბატონ-პატრონი.

მაიკო. ერთი კოვზი კიდე, შენ კი გენაცვალე, ერთი კოვზი.

ნიკო. არა... არ მინდა... წაიდე!

ფროს. მოვხდება, ნიკო!

ნიკო. არ მინდა მეთქი!

XII

შეშადას ექიმი და გოგია

გოგია. (წინ შეშადას) მოვიყვანე დობტური. (მანარსადგას) შემობრძანდით, ბატონო!

ექიმი. (შეშადას, უკლანა უფსე წამოდაგუბას) საღამო მშვიდობისა!

ყველანი. ღმერთმა გაცოცხლოთ, ბატონო დობტურო!

ექიმი. (თვლას გადაუკუს აქურთას) აქ, ბატონებო, ბევრნი ბრძანდებით. პატარა ბინაა და ავადმყოფს ჰაერი არ ეყოფა.

პეტ. თუ საჭირო არის და გვიბრძანებთ, ვიახლებით, ბატონო.

ექიმი. ძლიერ კარგი იქნება. აქ ერთი ან ორი კაცი საჭიროა, მეტის დარჩენა შეუძლებელია.

პეტ. ეხლავ ვიახლებით. წავიდეთ, ხალხო! (უკლანა გადას, გარდა შაკას, აფანეს და სიმონას)

ექიმი. (ავადმყოფთან შადას, ტრამაშტრს უდგას) აქ ისეთი სუნია, ტიფი უნდა იყოს. (ურთმანეთის გადასედაგუენ)

მაიკო. მარჩიელთან ვიყავი, ბატონო, და ანაკლი არისო, მითხრა.

ექიმი. (დასჯათ) მარჩიელს არ უნდა დაუჯეროთ. ისინი მატყუარები არიან. (შაკას უსინჯავს ზეუს) ჰმ... მაჯა ცუდათ უტყემს. (შაკას შეკრთება)

სიმონ. (ექიმს სკამს მოუწევს) დაბრძანდით, ბატონო!

ექიმი. (ვადგას) თქვენც დაბრძანდით. (აფანე და სიმონი ტახტზე ჩამოსხდებან)

მაიკო. (თვალეშა უდგარას ექიმს) როგორ ატყობთ, ბატონო?

ექიმი. აი, სიტხეს ვაუსინჯავ, დავხედავ დაუკვირდები და შემდეგ მოვახსენებთ. თქვენ



ჯერ ეს მითხარით: როგორა ან რითი ვახდა ავად, თუ დაკვირვება გაქვთ? ან რა არის, სახეზე აქა-იქ კანი გალურჯებული რომ აქვს?

მაიკო. რა ვიცი, ბატონო, რით ვახდა. მე ანაყოლს ვფიქრობ, ბატონო. ამის წინდამ საბრალოდ რაღაც მამასახლისს აწყენია; მან კი დაიჭირა და ნაობახში ჩაავდო. მე ვფიქრობ იქ თუ აყვა რამე შეთქი.

ექსამა. რამდენი დღე იყო დაქერილი

მაიკო. ცხრა დღე, ბატონო?

ექიმი. (გაკვირვებულად) ცხრა დღე? მამასახლისს არ აქვს უფლება, რომ ამდენი ხნით ვინმე დატუსაღებული ამყოფოს, თუ დატუსაღება მას მისჯილი არ აქვს სასამართლოს მიერ. მაინც ისეთი რა ჩაიღინა, რომ აგრე გაუბრალებია ის მამასახლისი?

სიმონ. მოგახსებებთ, ბატონო. ამის წინად ყრილობაზედ ვიყავით დაბარებულნი! რაღაც ედონიკა არის დარჩენილი და უნდა გადაიხადოთ. ამ საწყალომ დაიწყო ყვირილი: „რა ედონიკა, რის ედონსაკო“: შეგებნ ერთმანეთს. მამასახლისმა მათხოვარი უწოდა, ამახაც არ მოთმინა და წამოკრა; „ედონიკა კი არა შენ შეკამე ფულეები და ეხლა გინდა მეორე ხელ გადავხადდევინო.“ ამ სიტყვებზე მამასახლისი ცოვიან მგელსავიდ გადმავარდა ივიანიდან, დაებღნა და დღუწყო ცემა; შემდეგ სტრაქესაც აცემია და, როდესაც ცემით მოიჯერა გული, ნაობახში ჩაავდო.

მაიკო. ცხრა დღე და რამე გაატარებია ნაობახში, ბატონო! ტიტველა მიწაზე ეგდო კაცი, არც დასაგები და არც დასახურავი არ მიმიკარებია იმ უღმერთომ.

ექსამი. ავადაც სწორედ იქ გამხდარა.

მაიკო. დიახ, ბატონო! ნაობახიდან ავადმყოფი მოვიყვანეთ.

ივანე. ჩვენი ღმერთი და მბრძანებელი ის მამასახლისი შეიქნა, ბატონო, და რასაც უნდა იმას გვიშვრება. შეგეკვამა, დავგაქტია ერთი სამამასახლისო ხალხი.

ექიმი. თუ ავრება, რატომ არავითარს ზომებს არ მიიღებთ?

ივანე. რა ვიცი, ბატონო! ვიძახით, გამოვცვალოთო, მაგრამ მაინც ვერა მოუხერხეთ რა.

ექიმი. (ადგუბი ცერმოაქტის გამაჯღაის და გახედავს) მადა... სიტხე მაინც და მაინც

დღიი არა აქვს. (შაჰაის) თქვენ ამის მეუღლე ბრძანდებთ?

მაიკო. დიახ, ბატონო!

ექიმი. ამა საბანი გადაუწიეთ და გული გაუხსენით.

მაიკო. კი, თქვენი ჭირიმე.

ექიმი. სანთელი ახლოს მომინათეთ. (შაჰაი სანთელს მიუწათეს, ექსამა კარგა ხანს სინჯავს)

ექიმი. ამა ამოისუნთქეთ... კიდევ... უფრო მაგრათ ამოღისუნთქეთ. (შაჰაი) ცოტა ადრე რომ მოგემართათ, კარგი იქნებოდა, (ექსამს სხესე უაიუქდათას ნაშუბა ემხევა)

მაიკო. (შეშინებულად) როგორ, ბატონო?... ნუ თუ არავითარი იმედი არ არის!?

ექიმი. ჰო... ჯერ კიდევ არა უშვავსრა, მაგრამ ცოტა ადრე რომ მოგემართათ, მაშინ უფო ჩქარა და იოლად გადაიტანდა ავადმყოფობას

ივანე. რით არის, ბატონო, ავად?

ტიფთ. ტიფთი ვახლავთ. (ექსამა კადკე უსინჯავს მჯავს) ამა ქალაღი და საწერი-კალამი მოიტანეთ.

პეტ. მორათვი, მაიკო!

მაიკო. (სათელს შკავაქსუ დაჯავს) ამ საათში. (გადას)

ივანე. რას იტყვით, ბატონო დობტურო, — თუ ეშველება რამე?

ექიმი. (თავს უაიუქდად ჩაიქეკს) არაფერი არ ეშველება. კაცი სრულიად დამწვარა სიცხით. კიდევ სულ რამდენიმე წუთი და გათავდება. მაჯა თითქმის სრულიად გაჩერებულია. რეცეფტს მაინც დავეწერ, მაგრამ წამალზე ნუ გავზავნით, მაინც ვერ მოუსწრობს.

პეტ. (შეწუხებულად) ღმერთო, შენ ჰკითხე მაგიერი კოღვა მის აგრე მომქცევს!

ექიმი. ნაცემი ეხლაც ამჩნევია. ტიფოც უეცველად ნაობახში გაჩენია. თუ ამ საბრალს ჭირისუფლები მოისურვებენ მამასახლისის წინააღმდეგ საჩივრის აღძვრას, ამის მოწმობას, რომ ძლიერი ნაცემია, მე მოგართმევთ.

პეტ. საჩივარი უკვე აღძრა ამისმა კოლის მამ.

ექიმი. ეგ კიდევ უკეთესი. თუ მოწმობა იქნეს საჭირო, მე მომმართეთ.

პეტ. საჩივარი კი აღძრა, მაგრამ...

ექიმი. მაგრამ რა?



პეტ. რა, ბატონო, და, როდესაც გაუგია მამასახლისს, რომ მის წინააღმდეგ საქმე დაიწეს, მას ვეზლი ნაჩლიკეთან დანოსი გაუგზავნია: ნიკო სულაძე ბუნტოვნიკია და მთავრობის წინააღმდეგ ხალხს აბუნტებსო.

ნიკო (უკანასკნელა წითეობა უდგება და შიგთოჯის იქებს) აჰ... ეხლა კი მოვეკვდი... მიშველეთ.

ექიმი, ააა... ეგ როგორ შეიძლება? არ მოგვიხდებათ, გავენებთ.

ივანე. მაიკოც სად დაიკარგა ამდენი ხანი?

ნიკო. წამომავენეთ მეთქი!.. ერთი კიდევ გადამაველებით თვალი აქაურობისთვის. (უკანასკნელ მხლანისეს მთავრებს და წამოდგება. ჰეტრე მიუქაფალებს და თავს დაუქნის)

ივანე. სად დაიკარგე, მაიკო? გამოდი!

XIII

შუა კარებიდან შემოდის **მამასახლისი**, მის უკან მიუყვება **ბოქაული** და **ორი დარაჯი** გვერდის კარებიდან გამოდის მაიკო. როგორც კი მამასახლისი და ბოქაულს დაინახეს იქვე კარებიძვე გაშეშებულია შედგება. მაიკოს შეღახა, კაფისისტარი და ქადაღა უჭირავს ხელში.

ექიმი. (განვიფურეულება) ააჰ!..

ბოქაული. მავრის უფროსის მოწერილობით ნაბიძანები მაქვს დავაპტიზრო კანონის სახელით ნიკო ოტისა ძე სულაძე, რომელიც სანღო პირთა ჩვენებით, როგორც მანენ მიმართულების ადამიანი აფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი მშვიდობიანობისთვის.

(მაუხ. ეველანი განვიფურეულება უნძქარაის ერთმხეთს)

ნიკო. აჰ... აჰ... მოვეკვდი ცო... ოლი...

შეი...ლები... ვაი ჩემო ოჯახ... (ჰეტრე მიუყვრდება გულზე და ხელს გასტეკებს)

მაიკო. სამდნეს ხელადეს გაჯგებს, კაივით გაუქნება ნავსაქეს და ცხტეზე გაუქნება ნიკო!.. ჩემო ნიკო!.. (მაიკოს კაივლზე ეველანი გამოდისან, მაგრამ მამასახლის და ბოქაულს დანახვზე კარებიძვე განვიფურეულება შედგება)

ექიმი. (ზატარა მაუხას შედგება) უკატრავდა, ბატონო ბოქაულო! დივივიანეთ. ნიკო სულაძე გასცილდა თქვენდამი რწმუნებულ საზღვრებს: აწ კი ვერ შესძლებთ მის დაპატიმრებას.

ივანე. (სისაწარკვეთადა) ვაი თუ ამასაც სიკოცხლე ჰქვია?! მკვდრებსაც კი აღარ გვასვენებენ...

ფარდა
დასასრული

1909 წ. ქ. მოსკოვი

ივ. კავკანიძე

სათეატრო მიმოხილვა

ქართული თეატრი

◆ დღეს იწყება ქართული თეატრის სეზონი

დავ. ერისთავის ისტორიული პიესით „სამშობლო“, ე. შალიკაშვილის რეჟისორობით. მთავარ როლებს შესარულებენ: — სვიმონ ლიონიძე — გამტრულიძე, ქეთევანი — დავითაშვილი, ლევან ხომშიაშვილი — ბუღუ მდივანი, შაჰაბაზი — გუნია, ფაიხოშო — ლეჟავა, დანიანი — ხარდალიშვილი, დედაკაცი — ჩერქეზიშვილი, დავიანი — შალიკაშვილი.

◆ მომავალ სეზონისთვის ქართულ დრამ.

სახოგ. გიმეგებაძე ძლიერ გააიფო ადგილების ფსიქოთეატრში, განსაკუთრებით იმ ადგილებისა, რომელთაც ჩვეულებრივად ჩვენი ხალხის შუათანა და დემოკრატიული ნაწილები იტყვენ ხოლმე. პარტერში მრავალი ადგილებაა შუკ. დაწყებული I მანათამდე და აივანი კიდევ უფრო გაიფებულა.

◆ **დღევანდელი წარმოდგენისთვის** ე. შალიკაშვილმა ახალი დეკორაციები დააწერინა მხატვრებს ნოვაკ დალანსკის. სამხატვრო დეკორაციულ ნაწილს, გარდა რეჟისორობისა, განაგებენ აგრეთვე ცნობილი მხატვარი გრიგოლიძე და ჩვენი ახალგაზდა მოქანდაკე ი. ნიკოლაძე. „სამშობლოს“ შედგენ პარასკევს, I ოქტომბრის წარმოდგენის იქნება ი. გორდენის ცნობილი პიესა — „სატანა“ ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით. ამ პიესისათვისაც ახალი დეკორაციებია დახატული. კვირას, 3 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა ე. შიკავაშვილის „სიმბინჯი“.

სახაზინო თეატრი

◆ **ოპერის სეზონი** 18 ნენქისთვეს დაიწყო ოპერა „Жизнь за Царя“-თი, ა. ეიხენვალდის თაოსნობა. ამ დაულაღვ და მხენ ადამიანის მოწყალებით, რამოდენადც პირველი ნიშნით შეიძლება ვივარაუდოთ, ოპერები სცენიურისა და მუსიკალურის შრით კარვად დაიდგმის. პირველ საღამოსვე სჩანდა ხელი სცენის მოწყობისა და ოლტბარისა. მონაწილე-თანამშრომელთა შორის არიან სათვალნირო მნის პატრონი.

პარიზისტიული თეატრი

◆ **შალიკაშვილის კონცერტმა** კვირას, 19 ნენქნ. დიდძალი საზოგადოება მიიზიდა, განსაკუთრებით თბილისის შეძლებულ-ფულანდარი ბურჟუაზია და უმაღლესი მოხელეები. პირველი რიგები იყო ცარიელი, მაგრამ კონცერტის დაწყების შემდეგ „პიტრა გაიფადა“ — ბილეთები ნახევარ და მესამედ ფასად იყიდებოდა. სამწუხაროა ასეთი მოვლენა, თუ თეატრის ადმინისტრაციის ნებართვით მოხდა. რაიუკ შეუგებოა შალიკაშვილს, საკვირველი არ არის, რომ დამსწრენი აღტაცებით მიგებობოდნენ. — მან თბილისშივე დაიწყო თვისი მუსიკალური მოღვაწეობა, თბილისში ვაატარა თვისი კაბუკობა, „მას ეამსა შინა“ მ. გარიკოთან ერთად, ბედით დღენილთა შორის, მაგრამ ასე მალე დაივიწყა წარსულ-



ლი და გარდა იმისა, რომ თბილისის უმაღლეს საზო-
გადოებას ძვირად დაუსვა თვისი კონცერტი, მდებია
ხალხს, რომლის წრდინაც იგი წარმოიშვა, საშუა-
ლება არ მისცა მისი კონცერტი მოესმინა.

კონცერტი კი, დიდაც, რომ დიდებული იყო:
ხელოვანსა და ბუნებით არტისტს საუცარი ხმა, გა-
მოთქმა და გრანძობა აქვს. ძრელია კაცო კაღმით ვაღ-
მოსცეს მისი ხმის დიაღობა.—იგი უნდა მოისმინოთ,
რომ სავსებით იგრძნოთ, თუ რა მომზობლავ ძალას წარ-
მოადგენს ლეთიურ-ჯადოსნური ნიჭით დაჯილდოებუ-
ლი ადამიანი... ტყუილად არ ეძახიან შალიაპის ჩე-
ნის დროის მსოფლიო მომღერალს...

შალიაპინმა ერთ გამოცვლაში 3500 მან. აიღა
და მეორე დღესვე გაემგზავრა რუსეთს.

◆ ვ. ი. ნიკულის ანტრეპრის სეზონი დაიწყო
21 ენკ.ფრიალ სასიამოვნო აზრი მოსვლია. ბ. ნიუ-
ლინს. მას განუზრახავს ფასიან წარმოდგენების გარ-
და ჰმართოს ხოლმე უფასო წარმოდგენებზე მოსწავლე-
თათვის. ამ აზრის განსახორციელებლად ბ. ნიკულის
კავკასიის სპოლების ოლქის მზრუნველთან იყო. მზრუნ-
ველმა სიათვენებით მიიღო და განსაკუთრებული მზე-
ვლე მოუჩინა. პირველი უფასო წარმოდგენა გაიმართე-
ბა 1 ოქტომბერს. აი წასაბაძი მაგალითი, თუ რებერ-
ტუარიზ რიგიანი და შერჩეული იქნება.

წ—ი
სახალხო სახლი

ქართ. წარმ. მმართველ. წრმ დაიწყო სეზო-
ნი 19 ენკენ. ნ. გოციოძის რევისორობით, წარმოად-
გინეს ბერაღუნის დრამა „სამხედრო ბანკში“.

ეს პიესა ხშირად წარმოდგენიანთა და აღბდა ეს
იყო მიზეზი, რომ ხალხი საშუალო დაღწრო. ჩვენ
ვიცით—რა ქალების შხრივ წრის მდგომარეობა, ვერ ვუ-
სავე ურებთ ამ პიესის არჩევის გამო. მხოლოდ ამას
კი ვიტყვი: წრის სტენის მოყვარეებს ეს პიესა რე-
ვენტუროდ წარმოადგენიათ და ამიტომ ჩვეულებრივზე
მეტს მოვიხოვებთ მათ.

დარწმუნებული ვიყავით, სახალხო დასვენების
შემდეგ სტენის მოყვარენი მეტ უნარს გამოიჩენდნ და
ამ ცოცხლად დაწერილ პიესას (გარდა მესამე მოქმედ-
ებისა)—უფრო გააცოცლებდნ. საჭიროც იყო სიკოცხ-
ლე. ბერილენმა შეიკვრტა სამხედრო ყაზარმაში, მან
სავსებით გადმოგვცა ამ დაწვეულების ორგანიზაცია,
სადაც თეთივარე წვერისაგან მოითხოვენ ბრმა მორჩი-
ლებას, დაუფიქრებელი ბრძანების ასრულებას, რიხიან
და მკაფიო სიტყვა-პასუხს, სიმარდესა და სიმამაცს.
ჩვენდა საწუხაროდ, ეს ასე არ იყო „სახალხო ხალხის“
სტენმა: სამხედრო ჯარის კაცოც არა, რატო უსი-
კოცხო ავადმყოფ ხალხს ადგენდნ. გამოჩაკლის
შეადგენდნ ვახშისტეგები კვიის (ნ. გოციოძი), ჭოლკ-
გარდ (ბ. ზურაბიშვილი) და კლერხენ (ანკარა). რევი-
სორის უსათუოდ ყურადღება უნდა მიექცა ტრინისთვის,
ვინაიდან სამხედრო პირნი ამაყნი და მედიდური არიან
თავისზე უმტროსთან, სამაგიეროდ მონანი უფროსის
წინაში და იქ ხომ სულ უფრო-უმტროსები არიან.

ავეკ აღენიშნავთ, რომ პიესის დაწვეებ მსახიობზეა

დამოკიდებული, თუ როგორ ტონს მისცემს მთელი
პიესის მსვლელობას: მას შეუძლიან წარმოდგენას სრუ-
ლიად ელგერი დაუკარგოს და მოჰგვაროს-კიდეც.

პიესა დაიწყო როტმისტრმა ჭონ-ბანვეიცმა (ბ.
ხახანოვმა). მისი ტონი იყო მკითალი. უსიკოცხო
და ეს დაღი ვაკევა მთელ პიესას ბოლომდის, რომელ-
საც ბ. ზურაბიშვილმაც კი-სავსებით ვერ დააღწია თა-
ვი და განა ბანვეიკი უსიკოცხოა?—აოლკვარისი რი-
ლი ბ. ზურაბიშვილზეა გამოკრილი, მას შეუძლიან
სავსებით გადმოგვეცეს დისკოპლინისგან დამონავებულ
ჯარის კაცის ფსიხოლოგია. ამ საღამოს-კი, როგორც
ზევით მოვიხსენიეთ, უხალისობა ეტკობოდა. თუმცა
სხვებში ირჩეოდა თავის დაკვირვებელი თამაშით. არ
შეგვიძლია არ აღენიშნოთ შემდეგი: მეოთხე მოქმედ-
ებაში, იმ ადღისას. სადაც ჯვარს იგლეჯს, როგორც,
ყალბ ლითონს, საჭირო იყო მეტი სიძლიერე. თვითვე
ამბობს, რომ იმ ჯვრით ამაყოზდა და იმასაც-კი ავიწ-
ყებდა, რომ უბრალო „უნტერ ავიტორია“. ამ გამოთ-
ხოვებაში უნდა დაეღმა ყველა ის, რასაც მონურად
ასრულებდა და ემსახურებოდა 30 წელი. არც გრძიმ
ჰქონდა შესაფერი, საჭირო იყო მეტი სიბერე.

მონა-ჯარისკაცის ააღო სრულიად აულია და შე-
უსწავლია ბ. გოციოძის. ამ საღამოს მხოლოდ ეს იყო
უნაკულუო მხედარი.

თუმცა, ჩვენის აზრით, ის კაცი, რომელიც ყო-
ველგვარ კავშირს სწყვეტს ქალბოთან და ცხენებს ეტრ-
ფის, არ იქნება „უღელაშ მტრია“ და თითქმის ფატიც-
კი. მაგრამ გოციოძემ ასე გადმოგვცა, რაიცა ბუნებ-
რივი არ არის. ეველასთვის რომ შეეწყვავებინა ის
მხედრული თვისებანი, რომელნი მან დაგვისურათხაჯა,
რევისორის დანიშნულებასაც მიაღწელიდა. უსტირ ლაუ-
წანი იყო ბ. მეტრეველი. აკლდა აზოვანება ლეიტენან-
ტისა და კილო. საჭიროა მეტი რიხი და სიამავე უმე-
როსებთან, ნარნარი, მომზობილელი ბასი კლერხენთან.
ეს ფრიალ ლამაზი როლი მკრთალად გადმოგვცა. კლერ-
ხენი—ქ. ანკარა, ანსაბლთან შედარებით, კარგი იყო.

მოველიდით... და ვერ ენახეთ ყაზარმაში აღზრ-
დი ეველები. მომხმასა და ობლობაში გამოხრილი,
ომელსაც არ ახსოვს არაქვ თუ დღის აგმობს, აფა-
ინიცი-კი, არ გვეზონა ისეთი ნახი და სუსტი ყოფი-
იყო, როგორიც ბ. ჰეპანოვმა გვიჩვენა. არა ბე-
ბრივი და მკრთალი იყო მეორე და მესამე მოქმედ-
ებაში, საჭიროა მეტი „საღდაფთური“ ვირობა, ცოტა
იყო, გაუთლდობაც. სხვა მიზეზებთან ერთად უსა-
რულ ანაც შეუწყო ხელი კლერხენს, რომ ნახ ლაუ-
წნე გასცვლია. არც კილა ჰქონდა ქართული.

საერთოდ სტენის მოყვარებებს თუ როლი არ მოს-
ნთ, არ ცდილობდნ ნაკისრი მოვლოების პირ ნათლად
რულებას. ის იქმის—ბ. ხინელსა და ბ. რევაზოვ-
უნასწენლმა ხომ ქართული ლაპარაკი არ იცი-
ენ სრულებით არ შეეფერებოდა იმ როლში საკითარ
ხი გამოსვლა. რატომ რევისორმა არ იხმარა თავი-
წულეება და არ მოსთხოვა ბ. რევაზოვს კეთილ-სინ-
იერად ასრულებია ნაკისრი მოვლოება. მკრთალი
ბ. ფიროს პირელიც გვეენის როლში, არც გრძი-
ქყო აქაყა.

საქირა მეტი შრომა, საქმის სიყვარული და დაკვირვები შესრულება— დასურათბატემა ამა თუ იმ დასარულ ვუსურებთ წრეს გამარჯვებული როლისა.

გამოსულიყოს ყველა იმ დაბრკოლებიდან, რომელიც მას ხედა წოლად და თავის მიხნისათვის მიტყწიყნოს.
ელმონდ კინი

წერილი აბებეი

ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობამ დაადგინა ჰონორარად ექლიოს დრამატიული ნაწარმოებთა ავტორების თითო მოქმედებაში ორიგინალურ პიესის პირველ წარმოდგენისათვის 5 მ. შ., შემდეგ წარმოდგენისათვის კი 3 მ. მთარგმნელებს კი მიეცემათ თითო მოქმედებაში პირველ წარმოდგენაში 3 მ. და შემდეგ წარმოდგენაში 2 მ.

➔ **ნარკანმა უკვე სთარგმნა** ანრი ბატაილის ახალი პიესა „ორი ენება“; რომელიც ამ წლის სეზონშივე იქნება წარმოდგენილი.

➔ **კ. შათირიშვილი**, სახალ. თეატრის რეჟისორი, უკვე განიკურნა ვადემოლოგიასაგან და თავის თანამდებობას შეუდგა. მისი რეჟისორობით პირველად წარმოდგენილი იქნება „ლალატი“.

➔ **ქართ. მსახიობთა თვითგანავითრებელ წრის კრება მეორედ** შესდგა კვირა საღამო, 19 ენენ. რეფერანტად მოქმედი იყო ბ. ს. ვაკაძე, რომელმაც ახსნა და განმარტა შპა-აბაზ პირველის პიროვნება, მისი დეაწალი სპარსეთისათვის, გარეშე სამეფებთან დამოკიდებულება და საქართველოში შემოსევის მიზეზები. რეფერანტი ფრიალ საინტერესო იყო და დამსწრენ გულადღებით უსმენდენ. დამსწრეთა შეკითხვისამებრ, რეფერანტმა გამოთქვა ზოგიერთი მოსაზრება.— როგორ უნდა დაიგვას „სამშობლო“. სხვათა შორის აღნიშნა, რომ დიდი მკლდობა, როცა შპაზაბაზს წვევარის თამაშობენ: პირ მოპარსული იყო და დიდუფავაო. რეფერანტის ახსნილ, შპა-აბაზი დიდი რეფორმატორი ყოფილ და სპარსეთის ისტორიაში იკითვიე ადგილსკრებია, როგორც საქართველოს ისტორიაში დავიე აღმაშენებელს, ხოლო რუსეთის ისტორიაში— პეტრიდდსო. დამსწრეთ რეფერანტს მადლობა გადაუხადეს საღამოს დაქსრუნე, სხვათა შორის, მცხოვრანი გოლსან აკაკი, მ. მ. საფაროვა-ბაშიძისა, რეჟისორინ და სხ.

➔ **ებრაელ მონწაველთა სასარგებლოთ** 6 ოქტ სახ. სახლში გაიმართება ებრაული წარმოდგენა.

➔ **სახალხო თეატრის გამგეობა** აცხადებს, რეფერანტის აწვევის შემდეგ დარბაზში არავის შეუშებრის გამოც მეორე ზარის დარკების დროს ყველ თავთავისი ადგილები უნდა დაიკვიროთო. გონივ განკარგულელება და ვისურვებთ ამის განხორციელდებრამც თუ სახალხო სახლში, არამედ სხვა თეატრებშია

➔ **სომხური თეატრის სეზონი** დაიწყება შირვანდეს პიესით „ნამუსისთვის“.

➔ **ქართ. ისტორიულ-ეტიმოგრაფიულ საზოგადოებას** შესდგა 20 ენენ. დეპუტატთა საკრებულოს და ბაზში. წაკითხულ იქნა ორი რეფერატი: ი. ი. ა.

ლაძემ წაკითხა „ბარამ გულიჯანიანისა და რუსთაველის ეფუხის ტყაოსნის“, ხოლო ა. ი. სარაჯიშვილმა— „ეფარული ლექსი კახეთის აკლდების“ შესახებ. პირველმა რეფერატმა ცხარე კამათი გამოიწვია.

➔ **სომხურ დრამატ. დასს** ნიკოლოზა უარი გამოუტყდა სთუშაბათობის ემრ დავითობით, თუ ესთუშაბათობით ითამაშეთო. ამის გამო სომხებმა დრამა სახაზინო თეატრს მიმართა. საგულისხმოა კერით ლქტი: სომხურ დრამ. საზ. გამგეობის წევრად ვადღეთ ქართული თეატრის აშშნებელი— ხურთა ჰომდვარიც. ამ წვერს ჰკითხა, სხვათა შორის, ერთმა ჩვენს დამსხრებულმა მსახიობმა: რა აქეთ-იქით დარბიანთი, რატომ ქართულ თეატრში არა მართავთ წარმოდგენებსო?— „განა ეგ თეატრიაო?“— უსასუხა მან. — კაკო, და შენ არ ააშენე ეგ თეატრი? მაშაში მიიღე იმდენი ფული, თუ არ ვარგოდაო?!

თეატრის აშშნებელმა ამაზედ მხოლოდ სიტყლი დააყარა...

➔ **აკაკის ახალი პიესა „განთიადი“** ამ ახლო ხანში ჩვენს კურნალში დაიბეჭდება.

➔ **თილისის მოურავად** არჩეულ იქნა ა. ი. ხატისოვი.

➔ **სეზონი ქუთაისის თეატრში** დაიწყება პარასკევს პირველ ოქტომბერს, ლანგოლის ახალი პიესით „ტიტუსნი“, თარ. ელო ანდრონიკაშვილისა.

➔ **ქუთ. ქართ. დრამ. საზ-ამ**, რეჟისორებულ მოიწვია, შალვა ღაღანი და მიშა სთარული.

➔ **შალვა ღაღანიმა** სთარგმნა ე. ანდრეევის ახალი პიესა „გაუდამუს“, რომელიც ახლო მომავალში დაიდგება.

➔ **დრამატიულმა საზოგადოებამ**, თეატრის აღმინისტრატორად მოაწვია მსახიობი ვასო ურუშაძე.

➔ **ქართ. ბარგელმა სთარგმნა** მ. გორკის ახალი პიესა „ეკანასკნელი“, რომლის მხადებასაც დასი უკვე შეუდგა.

➔ **თეატრის განათების საქმე**, როგორც გავიგეთ, მსურს აიღოს პ. ეფრემი, რის გამოც მოლაპარაკება აქვს თეატრის დირექციასთან. ახლა თეატრს ანათებს მ. ლალიძის საელექტრონო სადგური.

➔ **ქართული დასის** ყოფილი მსახიობი (როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს) დათაყო ჩარკვიანი, რუსულ დასში სადგოდა. რამდენიმე წარმოდგენაში კლდე მიიღო მონაწილეობა. არა უშავდა რა „სოლესტატივის“, როლში (გოვოლის „რევიზორი“) მონაწილეობდა ანდრეევის პიესაში ჟ. დენი ჩვენი ცხოვრებისა.

დაბა-სოფლიში
ევირილა. წერილები გამაგრკლებული საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება უკვე შეუდგა დამწვარი თეატრის დახსნის საქმეს. აზრად აქვს ვადაკეთოს და მოაწყოს, რის გამოც ჯეგოვანის თხოვნით მიმართა ქუთაისის სათავად-ახნაურო ბანკს, სადაც დაგირავებულია.
ბიკი-ბიკი

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

ქართული თეატრი

სეზონი დაიწყება კვირას, 26 სექტემბერს

განმარხული რეპერტუარი:

დასუი მოწვეული არიან:

ქალები: მარო ვიქტორელი, ალექს. კარგარეთელი, ოლგა ლეჟავა, არეთა ლოლუა, ანასტ. პიერეტა, მარგ. ქილარჯიშვილი, ანნა შოთაძე, ელის, ჩერქეზიშვილი, ნატ. ჯავახიშვილი.

ვაჟები: ვასო აბაშიძე, ვლად. ალექსი-მესხიშვილი, გიორგი არედელი, ზაქ. ბერიშვილი, ნ. გვარამე, ვალ. გუნია, იოსებ ივანიძე, იოსებ ზარდალიშვილი, ილია მამფორია, ვიქტორ მატარაძე, დავ. მგალობლიშვილი, ბუღდუ მდივანი, კოტე მესხი, იოსებ თვიძე, ვალ. შალიკაშვილი, ზაქ. საფაროვი და სხვ.

სამსხროლმოდ მოწვეული იქნებიან:

ვიქტორ გამყრელიძე, გ. გელდევანოვი, ნინა ჩხეიძე, კონსტანტინე შათირიშვილი, სვიმონ სვიმონიძე, და სხვანი.

რეჟისორები: ვლად. ალ. მესხიშვილი და ვ. შალიკაშვილი.

სცენარიუსი: ზაქ. ბერიშვილი, და ილია მამფორია.

სუფლიორები: ბგ. ბეგლარიძე და იოსებ გრიშაშვილი.

გარდერობის უფროსი გამგე: მარიამ საფაროვ აბაშიძისა.

მრჩინილი პიესები:

შიუკაშვილისა: გამზარა ფოთოლი, მეგობრობა, სიმახინჯე,

გედევანიშვილისა: მსხვერპლი.

მალაქიაშვილისა შვიი გველი.

გლახაშვილისა: დალი.

რამიშვილისა: საბედისწერო დამბანჩა და სხ.

ნათარგმნი პიესები

გორდინისა: სატანა, მირა ეფროს.

ბერნარდ შოუსი: კეისარი და კლეოპატრა.

ბომარშესი: ფეგაროს ქორწინება.

იბენისა: სიყვარულის კომედია, ექიმი შტოკმანი,

ჰაუტემანისა—შის ამოსვლამდე, სულით ობოლნი.

ჯერომ ჯერომისა: ქალის ქუა.

ზუდერმანისა: ივანობის ღამე.

დ.ანუნციოსი: ჯიაკონდა.

დრეიერისა—ნორჩი თაობა.

ბატაილისა—ორი ვნება.

შვიერისა: ნიშანი ჩოფა-ქცევიში.

შირვანზადესი: ევგენე.

დეკორაციული ნაწილის გამგე:

ი. ნიკოლაძე, გ. გრინევსკი, ლანსკი.

მსცერარი-დეკორატორი ლანსკი

პირველი კვირა

დესამეზობლები

დ. ერისთავისა—იხალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსი

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი

სატანა

ი. გორდინისა—თარგმ. ვ. შალიკაშვილისა (პირველად ახალი პიესა), ახალი დეკორაციებით და ახალი ტანისამოსით.

რეჟ. ვლ. ალ-მესხიშვილი.

სიყვარული

ნ. შიუკაშვილისა — პირველად ახალი პიესა.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

აღბილუბის ფასი ჩვეულებრივი

ქართული დრამატულ საზ-ის გამგეობა